რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-... კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

...ღება თბილისში „დროებისა" რედაქციაში, ქუ-... ...ჭილაძის (გვერდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ... მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-... „Дроэба".

„დროების" ფასი:

...წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
...თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხანგრძლივი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და მუდმივებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებას მიიღებს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს ჭილაძის წიგნის მაღაზია.

ტელეგრამები „დროებისა" ღირს ერთი შაური.

...ოგბის დღესასწაულის გამო ხვალ, ოთხშაბათს გაზეთი „დროე-...ა არ გამოვა.

**ნახევარ წლის ხელის-მოწერა.**

...ევრის წლით, ე. ი. 1 ივლისიდამ 1882 წლის დამლევამდის

## „დროება"

ღირს გაგზავნით 5 (ხუთი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტო")

...ტერბურღი, 17 ივლისს. კულ-...ის მთის დეპარტამენტის დირექტო-...დ დაინიშნა, თ. ლობანოვ-როს-...სკი რუსის ელჩად ვენაში, მო-...ნგეიმი—ელჩად ლონდონში, გრაფ ...ლ—კოპენგაგენში; ნელიდოვი—...ამბოლში.

...-246,247 და 248 მუხლები დას-...თა წესდებისა ასე შეიცვალა: ხელმ-...ფე იმპერატორის პირს-იქით შეუ-...ცხმყოფი სიტყვებისათვის დამნა-...ვე დაისჯება ციხეში დამწყვდევით ...16 თვემდის; თუ დანაშაული გა-...ბრობით არის ჩადენილი—სამის ...თით; მოწმე, რომელიც არ დააბეზ-...ებს ამ გვარ დამნაშავეს, დაისჯება ...დ დღემდის დატუსაღებით.

...ფინანსთ მინისტრი აცხადებს, რომ ...გლეხო ბანკი 1883 წლის იანვრი-...ამ დაიწყებს მოქმედებასა.

„ახალს დროებაში" იწერებიან, რომ ...ჟნის იარმუკა გაიხსნა და წელს ...ერგი იმედი აქვთ გაჭრობისა.

...ტერბურღი, 18 ივლისს. კავკა-...ის სამხედრო მაზრის ინჟინერების ...ფროსი ფროლოვი დაითხოვნეს სამ-...სურიდამ და იმის მაგივრად დაინიშ-...ა კიევის ინჟინერების უფროსი ...ლომოვი.

...არიჟი, 18 ივლისს. 450 ხმის უმ-...ესობით 75 ხმაზედ ნაციონალურ ...კებამ უარი უთხრა სამინისტროს ...სპედიციისათვის კრედი-...ფ. ფრეისინეს სამინისტრომ სამ-...სურიდამ დათხოვნის ქაღალდი მის-...ა რესპუბლიკის პრეზიდენტს; ამან ...ხოვა, ახალ სამინისტროს შედ-...გენამდის ნუ მიატოვებს თანამდე-...ობას.

## ერთი საჭიროებათაგანი სასულიერო უწყებისა

ტფილისი, 19 ივლისს.

ამ ჟამად, როდესაც მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ეგზარხოსი იოანიკე გადადის მოსკოვს და ჯერ არ ვიცით ვინ იქნება მის ადგილზე დანიშნული, ვალად მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი სურვილი, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, არის სურვილი აგრეთვე სასულიეროს და საეროს ჩვენის საზოგადოებისა. ამას ვალად ვრაცხთ, რომ უმაღლესმა უფლებამ იცოდეს და ახალის ეგზარხოსის დანიშვნის დროს იქონიოს მხედველობაში.

საქმე მდგომარეობს მასში, რომ უმაღლესს აქაურს სასულიერო მწყემსს ღონის-ძიება ჰქონდეს უშუამავლოდ, პირ-და-პირ ადვილად ჰქონდეს კავშირი თავის სამწყსოს სამღვდელოებასთან და ერის კაცთან დარიგების და სწავლის მიცემისათვის და მეორეს მხრით სამღვდელოს და ერის კაცს უშუამავლოდ პირ-და-პირ შეეძლოს თავისის გულის ტკივილის მოხსენება და თხოვნა რისამე.

იმისთანა უნუგეშო მდგომარეობას და სულის სატანჯველს ვერ იგრძნობს კეთილი, გულ-შემატკივარი უფლების მექონე, მმართველი, გამგებელი და მოსამართლე მწყემსი, როდესაც მასთან მოსულს კაცს პირ-და-პირ, სხვა კაცის უშუამავლოდ ვერ მოუსმენს, მისის გულის სიღრმიდგან ამოსულს გრძნობასა და სატანჯველს ვერ გამოარკვევს, ვერ გამოჰკითხავს ყოველის სულის მოძრაობის მიზეზს, ვერ გამოარკვევს მის გულის ალსარებას, და როდესაც ღონე არა აქვს პირ-და-პირ სხვის უშუამავლოდ ნუგეში სცეს, ნაღველს წამალი უშოვოს, სატკივარს შვება მისცეს, გზა გაუნათოს გრძნობიერის ცოცხალის სიტყვით, სარწმუნოების სიმკვიდრით, იმედის ნუგეშით და სიყვარულის ცეცხლით.

ამ გვარს მდგომარეობაში მწყემსთ-მთავარი ძალა მოკლებულია, იარაღი ხელში არ უჭირავს და თავის თანამდებობის მრავალის საგნისათვის მრავალს სამწევნო მასალას ჰკარგავს მართეისათვის, და ძალა-უნებურად სხვა გარს მყოფთ მოხელეთ ხელთა ვარდება, სხვების მონაწილეობა ეჭირება იმისთანა საქმეებში, რომლის აღსრულება მარტოთ, სხვების გაურევლად, მეტად საჭირო და სასარგებლო იქმნებოდა.

რომელია ეს ძალა დამაახლოვებელი მწყემსისა და მწყემსთ-მთავრისა თავისს სამწყსოსთან?

ეს ის ძალაა, ის ნიჭია, რომელიც ღმერთმა კაცს მიანიჭა კაცთან დაახლოვებისათვის, კაცის ჭირისა და ლხინის გასაგებად, აზრის მისაღებად და გარდასაცემად, გაჭირებაში ნუგეშის საცემრად, სიმართლის საქადაგებლად, ჭეშმარიტების დასადგენად, კაცთ სიყვარულის აღსადგინებლად და ბოროტის მოსასპობლად.

ეს ძალა არის ენა, სიტყვა, რომელიც შენ პირ-და-პირ გადმოგცემს ჩემ გულის-პასუხსა და აზრსა და პირ-და-პირ, სხვის უშუამდგომლოდ, შენსას გამაგონებს.

წარმოიდგინეთ ჩვენში უმაღლესი სასულიერო მწყემსთ-მთავარი რა მდგომარეობაშია, როდესაც სამწყსოს ენა არ ესმის და შუამავალი, მთარგმნელი კაცის პირით უნდა ისმენდეს სამწყსოს გულის პასუხს და აღსარებას, და ასმენდეს თავის პასუხს ანუ დარიგებას.

ორივე მხარე უკმაყოფილობაშია. რათა? და მათა, რომ ისე არა უწყებაში, თვით სამსჯავრო უწყებაშიაც კი არ არის ისეთი საჭიროება საიდუმლოების ცოდნისა, როგორც სასულიერო უწყებაში. ამ უწყებაში ყოველივე საგანი—კაცის სვინიდისს ეხება და საცა სვინიდისია უმთავრესი საფუძველი, იქ საიდუმლოება მასთან შეხორცებულია და უიმისოდ ყოფნა არ შეუძლია. ერთი უმაღლესი და უდიდესი მხარე ქრისტეს სწავლის ცხოველმყოფელის სიყვარულისა ამ სვინიდისის და საიდუმლოების კავშირშია.

ამ მშვენიერ კავშირს თავის მწყემს-მთავართან მოკლებულია ქართველობის სასულიერო და საერო სამწყსო, რადგანაც უმეტესმა ნაწილმა სულიერის მამებისამ და ერის კაცებისამ რუსული ენა არ იცის და მწყემსთ-მთავარმა ქართული. მაშა სადამე სიტყვიერი პირ-და-პირი გულის პასუხის ცოდნა ყოვლად შეუძლებელია მათ შორის.

დარჩენილა ორი საშუალება: მთარგმნელი მოენე და წერილით არზა.

მთარგმნელი რომ ვერ აღასრულებს პირ-და-პირ თქმულის გადაცემ-გადმოცემას, ეს ყველასთვის გასაგონია. ყოველ სულის ტანჯვას, ყოველს სიტყვის ძალას, ყოველის აზრის ფეროვნებას ჰკარგავს თარგმნა. გულითგან ამოსული სიტყვა რასაც მოკლედ გააგებინებს, იმას ვერა თარგმანი ვერ გადასცემს არამც თუ ლაპარაკის დროს, თვით წერის დროსაც. პირ-და-პირ ლაპარაკში გამოთქმული აზრი და გრძნობა, რამდენს კითხვასა ჰბადებს და რამდენს წვრილმანს და დიდროვანს მხარეს აჩვენებს მსმენელსა! სიტყვა პირ-და-პირ ნათქვამი გამოიწვევს სიტყვასა და კითხვასა; კითხვა სხვა კითხვასა ჰბადებს და მცირეს ლაპარაკში ბევრი ძვირფასი რამ აღმოჩნდება მწყემსთ-მთავრისთვისაც და სამწყსოს მღვდლისა და ერისთვისაც.

როდესაც შუაში მთარგმნელია, აქ მხოლოდ ფორმალური მხარე ჩანს და მხოლოდ სკელეტი, უხორცო სკელეტი საქმისა. წინ ცოცხალი კაცი სდგას, მისგან მწყემსთ-მთავარს მარტო ორიოდ აზრის და ორიოდ გრძნობის ნაწილი ესმის და არა სრული აზრი.

მასუკან კიდევ, ეს დაბეჯითებით უნდა ვსთქვათ, მრავალნი სამღვდელონი და ერის კაცნი ერიდებიან შუა კაცს და მრავალს სათქმელს, რომელიც მხოლოდ პირ-და-პირ შეეძლოთ მარტოთ-მარტო მწყემსთ-მთავრისთვის გაენდოთ, მრავალს საიდუმლო საქმეს ვერ ბედვენ შუამდგომლის მთარგმნელის პირით გადაცემასა. ეს ბუნებითი გრძნობაა კაცისა.

მეორეს მხრით უეჭველად დარწმუნებული ვართ, რომ მაღალის გონების მექონე მწყემსთ-მთავარი შევიწროვდება მთარგმნელის აზრით გამოჰკითხოს სამწყსოს მღვდელს ანუ ერის-კაცს რომელიმე საიდუმლო მხარე, რომელიც იქნება ძალიან საჭირო საცოდნელად და საქმის ასახსნელად.

ამ გვარად მთარგმნელი შუა კაცი ვერასოდეს ვერ იქნება მწყემსის და სამწყსოს საკავშირო ღონედ და ძალად, რომელიც სამსახური მხოლოდ პირ-და-პირ ორთა შუა ცოცხალ საუბარს შეუძლია.

ამაზე ნაკლებს სამსახურს უწევს წერილით მოხსენება, თხოვნა და საჩივარი.

ყველამ იცის რომ ჩვენში არზების წერა ჭირსავით ეჯავრებათ: ჯერ ერთი, ხარჯი უნდა, სანდო კაცის ძებნა, რომ ნამდვილად თქვენი სათხოვარი და საჩივარი დასწეროს; და გამოცდილი იყოს. ამ თვისების კაცის მოძებნა ადვილი არ არის, რადგანაც ხარჯი მოსდევს. საერო საქმეებში თუ ასე ძნელია, სასულიეროში მეტის-მეტად უფრო უძნელდებათ, მეტადრე მღვდლებსა. ცოდნასთან, კანონების შესწავლასთან სანდო კაცებს ეძებენ დიდის გამოკითხვით, დიდის სიფრთხილით, დიდის ხარჯით და ქრთამებით, რომ მოჩივრის საიდუმლო არ გასცეს და სამუდამოდ თავი არ გაიფუჭოს. ეს გარემოება ძალიან აფუჭებს სამღვდელოების ხასიათსა და არზების მწერლების მონათა ხდის. ხასიათის წახდენა არზების წერით მერე ისეთ სენად ხდება, რომ მთელი დასი ჩნდება მაბეზღარ მწერალთა და მოჩივართა, რომელნიც არც სასულიერო მთავრობას ასვენებენ, არც მის ხელქვეითა უკალმო ღვდლებს და არც თვით მრევლს.

ამას გარდა არზაშიაც, როგორც მთარგმნელთან საიდუმლოებას ვერ აცხადებს, ვერ გამოსთქვამს ყოველ თავის გულის პასუხს. საზოგადოდ რაღა თქმაა საჭირო, რომ არზით უბრალო ფორმალურის თხოვნის ან საჩივრის მეტს ვერას აცოდინებს კაცი მწყემთ-მთავარსთ.

ასე განძნელებულია მღვდელთ-მთავრისათვის თავისის სამწყსოს მოხსენება თავისის საჭიროებისა მწყემთ-მთავრისადმი. ერთის სიტყვით პირ-და-პირი ცოცხალი კავშირი მოსპობილია.

რამდენადაც შევიძელით ამ სიძნელის გამოხატვა, აქ გამოვსთქვით იმ განზრახვით, რომ ეს სიძნელე აცილებულ ექმნას მომავალ მწყემსთ-მთავარს და მიეცეს ღონის-ძიება, რომ სამწყსოსთან პირ-და-პირი კავშირი შეეძლოს ყოვლის შუამდგომლობის მოშორებით.

ეს კავშირი, მჭიდრო კავშირი იქნება მაშინ, როდესაც საქართველოს ეგზარხოსი სხვა ღირსებათა შორის იქმნება უეჭველად ქართულის ენის კარგი მცოდნე და მოლაპარაკე, ქართველობის ხასიათისა და საქართველოს ისტორიისა და ეკლესიის მცოდნე.

## დღიური

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, უმაღლესს მთავრობას სჯა აქვსო, რომ რუსეთის ქვეშევრდომ თავად-აზნაურთ, ჩინოვნიკებს, სამღვდელოებას და საზოგადოდ ყველა იმ წოდების პირთ, რომელნიც დღემდინ არავითარ სახელმწიფო ხარჯს არ იხდიდნენ, გადასახადი დაედვათო ხაზინის სასარგებლოდაო. თითო მამაკაცზე წელიწადში მანეთი იქნება დადებულიო.

არ ვიცით—რამდენად ნამდვილია ეს ამბავი...

* * *

კავკასიის მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი 16 ამ თვეს საღამოს დაბრუნდა ტფილისში დასავლეთ საქართველოის მოგზაურობიდამ და ტფილისიდამ პირ-და-პირ კოჯორში წაბრძანდა საზაფხულოდ. მთხოვნელებს მთავარ-მმართებელი ტფილისში კვირაში ერთხელ მიიღებს ოთხშაბათობით, დილის 9 საათიდამ, სასახლეში.

* * *

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია ოფიციალური მოხსენება გ. ქუთაისის ღუბერნატორის, წლევანდელ მოსავლის თაობაზედ; ამ მოხსენებიდამ ვტყობულობთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებს გარდა, წელს ყველგან კარგი მოსავალი ყოფილა ნამუშევრისა და ბალახისა. რაჭაში და ლეჩხუმში კი და განსაკუთრებით სვანეთის საპრისტავოში, ცუდი ამინდების გამო, იმდენი ჭირნახულის მოსავალის იმედიც არ არისო, რომ ხალხს ეყოს წლისაო.

* * *

გაზეთის „ნოვოე ვრემიას“ 2286 №-ში დაბეჭდილია ევგენი მარკოვის „კავკასიის წერილების“ გაგრძელება. ამ წერილში ავტორი თავის ჩვეულებრივის ცოცხალის კალმით აგვიწერს ჩვენს დედა-ქალაქს — ტფილისს.

მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ სტატიიდამ:

„გასაკვირველად უყვარს ქართველ ხალხს ქეიფი და მოსვენება; ნემეცების კოლონიით მუშტაიდისაკენ რომ მიდიხარ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხედავ ბაღებს თუ დუქნებს და თუ სამიკიტნოებს, სადაც უანგარიშო ხალხი დამსხდარა და ქეიფობს, ყველგან სიმღერა და ზურნა, ყველგან ღვინის სმა და ფულების ფანტვა.

„ეს მოქეიფე და ფულის მფლანგავი ხალხი მდიდრები უსაქმო ხალხი კი არ არის: ესენი არიან ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, მშრომელი ნაწილი ტფილისის მცხოვრებლებისა.

„შეჰხედეთ ამათი, რა უდარდელად, რა წრფელის გულით ქეიფობენ და ატარებენ დროებას. იქნება გაჰკიცხოთ ამ ხალხის ამ გვარი ცხოვრება, მაგრამ ამასთანავე შურიანის თვალით არ დაუწყოთ ყურება ამათ უზრუნველ ცხოვრებას.

„შეჰხედეთ—რა თავისუფლად, რა არხეინად სხედან და მღერიან, სმენ, ბაასობენ, მახვილობენ, მასხრობენ, ცეინიან, იგინებიან. ეს შავ-თვალა, მხნე, რაინდი, თავისუფლად გამომხედვარე ხალხი—უბრალო მუშები, წვრილი ვაჭრები და მოსამსახურეები კი არა, ვილაც დიდი კაცები გეგონებათ, ისე არიან ჩაცმულნი და ისე მედიდურად გამოიყურებიან...“

მეორე ადგილს [illegible]:

„გასაკვირველად [illegible] ქართველებს არისტოკრატიული ღირსება დემოკრატიულ ხასიათთან. ხშირად შეხვდებით ძველის, გამოჩენილის გვარის თავადს ან აზნაურს, რომელიც მოსამსახურედ, მზარეულად გამხდარა; ამ ხელობას არ თაკილობს. მხოლოდ საქართველოში შეიძლება შეხვდეს კაცი ამისთანა ტიპს გადემოკრატებულ არისტოკრატიისას და გაარისტოკრატებულ დემოკრატიისას. მაგრამ, თუ გაგიწყრათ ღმერთი და რაიმე შეურაცყოფა მიაყენეთ ამ კეთილშობილ—მზარეულს ანუ ლაქიას, უნდა იცოდეთ, რომ იმის მედიდურობას სამზღვარი არ იქნება, მოგკლავს ან თავს შემოგაკლავს თავის ღირსების დამცირებისათვის“...

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ საცაცანო ტყეს ცეცხლი ეკიდებაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ახალ-სენაკი**, 9 ივლისს. 7-ს ამ თვეს ჩვენს დაბაში ჩამობრძანდა კავკასიის მთავარ მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი. ორი დღით წინად აქ შეიკრიბა თითქმის მთელი სენაკის მაზრის თავად-აზნაურობა და დაიწყო მოლაპარაკება იმის თაობაზედ, თუ რა და რა საჭიროებებზედ უნდა მიერთვათ მისთვის ქაღალდი. თავად-აზნაურობამ ერთხმად გარდაწყვიტა შემდეგი სათხოვრები:

1) ეთხოვოს მისს ბრწყინვალებას, რომ რაც შეიძლება მალე დამტკიცებულ იქმნას იმ თავად-აზნაურთ ღირსება, რომელიც უკვე განხილულია გრაფ. ლევაშოვის დროს შემდგარ კომისიისაგან და ამასთანავე დადგინდეს ხელ-ახალი კომისია განსახილველად დარჩენილ თავად-აზნაურთ ღირსებისა, რადგანაც ამ მხრით, სხვა რომ...

---

## «დროების» ფელტონი, 20 ივლისი

### ჯავახეთიდამ

#### არხეოლოგიური შენიშვნები.

გავლილ წელს კუმურდოს ეკლესიის აღწერა მრთელი რომ ვერ მოვასწარ, დავპირდი პატივცემულთ „დროების“ მკითხველთა მომავალ მარჯვე შემთხვევისა შესრულება მისი. ახლა რა შევიძელ ხელ-ახლად გავლა და აღწერა ყოველი წარწერაებისა, სასარგებლოდ ვსთვლი მოვიყვანო აქ თვითოეულად.

ეკლესიის აღმოსავლის მხრით გარედგან მაღლა სისხლის ფერის ქვით ჩაწყობილია ჯვარი; მის ქვემოდ კანკელი და ყვავილებში ოთხ მახარებელთა: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანეს სურათნი, გამოყვანილი ანგელოზი, ლომი, ხარი და ორბი. აქ აწერია ჭრილი ხუცური ასოებითა:

„ქრისტე შეიწყალე იოანე ეპისკოპოსი ამისა მაშენებელი დღესა მას.“

სამხრეთის მთავარ კარზედ არის მშვენიერი ჩუქურთმები კარის ქუდად და მას თავს აწერია ჭრილი ასოებითა კიდევ.

„შეწევნითა ღვთისათა იოანე ეპისკოპოსმან დასდვა საძირკველი ამის ეკლესიისა საფართა ჩემ ცოდვილისა... ს ოცარისასა ლეონ მეფისა ხჩცდნღ ქორონიკონსა“.

ამავ ქუდის ქვემო გვერდსა თითოოროლობით ნელ-ნელა მატებით ასოებისა აწერია: „სდთამაჲსა დღესა შაბათსა... მთავრისა ერისთაობასა ზვადისასა ესე ბალავარი მ. ნ დადვა ქრისტე შეეწიე მონასა შენსა ამინ.“

მასვე ქუდის ზემო გვერდზე ამავ ნაირადვე წვრილ-წვრილად ჩაყოლებითა აწერია:

„წმიდაო ეკლესიაო შენ იმეოხენიდ ყოველნი მაშენებელნი შენნი დღესა მას საშჯელისასა დაიფარენ და შეიწყალე გლახაკი გიორგი ლოცვასა....მათ მისიანთ.“

ამ კარის ქუდის ქვაზედ ზემოდ კამარაა და იმრგვლივ წარწერილია თხრილად:

„სახელითა ღვთისათა მე ეფრემ ეპისკოპოსმან დავდევ ალაპად გაბრიელ კ-სა ყველიერსა.“

კარის ზემოდ სხვა კარისავით გამოღებული კანკელი არის ვგონებ მნათის სანთლის გასასყიდად; ამათ შუა აწერია.

„პარასკევი დღესასწაული წმინდათა მთავარ-ანგელოზთაჲ დაედვა გიორგი ღვთის მსახურ მეფესა სრული, ვინ შეცვალოს კრული არის ამით ხატითა და ჩემითა ჯვარითა. ქრისტე შეიწყალე სული გაბრიელ კსაჲ ამინ“.

ამის ქვემოდ აწერია კიდევ ჭრილის ასოებით.

„სახელითა ღვთისა მე იოანე ეფისკოპოსმან დავდევ დღე ალვსებაი ალაპად ვაჩე ერისთავისა, ვინ შეცვალოს კრულია ამით ხატითა ჩემითა ჯვარითა.“

ქვემოდ თხრილი ასოებით აწერია:

„სახელითა ღვთისათა მე ზოსიმე ეკ (ეპისკოპოსმან) შევმოსე საკურთხეველი ბარძიმ ფეშხუმი ჯვარი … შევამკევ ხატი ღვთისაი ხელითა … ვითისათა დაუდევ სალოცავად … ეკლესიანთა დიაკონის შესანდობლად … ხ წმიდა საბასა შემწეობით რო. ამ … ხატთა ვინ შეცვალოს“.

მნათის სამყოფ კარის კამარაზე აწერია მრგვლად:

„ქრისტე შეიწყალე სული მოლოზნისა ამინ.“

ამის ქვემოდ:

„სახელითა ღვთისათა მე გაბრიელ ეფისკოპოსმან დავდევ ალაპად გზ… პარასკევი მოლოზნისა დღესასწაულ… წმიდათა მღვდელთა მოძღვართა, … სრულებითა არ გარდაიხადოს … სრული აგლკრულა ამით ხატითა … ჩვენითა ჯვარითა.“

კვალად ქვემოდვე აწერია:

„სახელითა ღვთისათა მე გრიგოლ ეფისკოპოსმან დავდევ ალაპად … ენატის ზელ:თისა, ვინ შეცვალოს კრულია ამით ხატითა ჩემითა ჯვარითა.“

...ყვას-რა, მთელი სამეგრელო მოკლებულია ერთ უმთავრეს პრივილეგიას, რომელიც მიანიჭა ხელმწიფე იმპერატორმა საზოგადოდ ყველა თავად-აზნაურობას (თავად-აზნაურების არჩევანში მონაწილეობის მიღება);

2) რადგანაც მთელი-სამეგრელო ერთობ მოკლებულია სწავლა-განათლებას და სიღარიბის გამო მას არ შეუძლია გაგზავნოს თავიანთი შვილები ქუთაისში და ტფილისში გასაზრდელად, ამისათვის გაიხსნას სამეგრელოს რომელიმე შუა გულ ადგილს პროგიმნაზია; ამ პროგიმნაზიის ხარჯად, დაინიშნოს სარგებელი 8 ათასი მანეთისა, რომელიც მეგრელებს აქვთ შეტანილი პრიკაზში და რომელიც შესდგა გლეხების ფულების სარგებლიდამ (2%); დანარჩენი ხარჯი კი მთავრობამ იდვას თავის თავზედ;

3) რადგანაც სამეგრელო ერთობ აკლებულია ქურდობისაგან და ამას ვერ ჰშველის ვერც პოლიცია და ვერც სხვა რამ, ამისათვის მიეცეს ჩვენს ხევის-თავებს უფრო მომეტებული ძალა, იმისთანა ძალა, რომელსაც ჰქონდეს ცოტაოდენიცაა ოფიციალური ხასიათი.

ამ მესამე მუხლმა გამოიწვია ახირებული შენიშვნა მაზრის უფროსისა: ჩემი აზრი არისო, ბრძანა მან, რომ ეს მუხლი ასე შეიცვალოსო: თუმცა ჩვენ (თავად-აზნაურობა) არა ვართ მოკლებული სენაკის პოლიციის მფარველობას(!), თუმცა ის დიდ ენერგიას(!!) იჩენს ქურდობის მოსასპობლად მაგრამ მაინც კარგი იქნება, თუ ხევის-თავებს უფრო მომეტებული ძალა მიეცემა.“ როგორ მოგწონთ, ეს შენიშვნა პოლიციის მხრით. ეს მუხლი სწორედ ამნაირად შეიცვალა, არა იმიტომ რომ ეს თავად-აზნაურობას მოსწონებოდეს, არამედ იმიტომ, რომ მაზრის წინამძღოლი მაზრის უფროსს ცოტა რამეზედ როდი აწყენინებს და მე თუ მკითხავთ, არც არის რიგი, რომ აწყენინოს. რატომ? იმიტომ რომ მაგიერად არც მაზრის უფროსი აწყენინებს მაზრის წინამძღოლს! მთა მთას ვერ შეხვდება, თორემ კაცი და კაცი რა პრძანებაა,— ყოველთვის შეხვდებიან.

ამის თაობაზე მე დავესწარი საინტერესო საუბარს ერთ ჯგუფში, სადაც 20—30 თავად-აზნაური იყო თავ-შეყრილი: „ბატონო, ამბობდა ხმა-დაბლად ერთი თავადიშვილი, თითო სახივარი თითქმის ყველას გვაქვს მომზადებული პოლიციაზედ, მაგრამ რად გინდა? ბახვას (მაზრის წინამძღოლი) რომ ჰკითხო, შებურიშვილი კარგი კაციაო, ის ყოველ საქმეში პატიოსნად იქცევაო, მოდი და შეიტანე შენ სახივარი, ბახვა ხომ დაგემდურა, თუ გაგიგო!“

მე—4 სათხოვარი მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება მთავრობამ დაუჩქაროს გამიჯვნას, რადგანაც გაუმიჯვნაობა დიდ შფოთს, დავიდარაბას და მტრობას ბადებს ჩვენს ქვეყანაში.

მე-5 სათხოვარი კი ღმერთმა შეინახოს! ეს სათხოვარი მდგომარეობს იმაში, რომ მაზრის სამმართველო ცენტრი გადაიტანონ ახალ-სენაკიდამ სხვაგან; მაგრამ სად? ერთ პარტიას უნდა ბანძაში, მეორეს—ძველ-სენაკში, მესამეს—ნოსირში და მეოთხეს კიდევ უკეთეს ალაგს—ზორდში, ესეც შენი ოთხი ყურდღელი; ვნახოთ რომელ ერთს დაიჭირენ...

მთავარ - მართებელი მობრძანდა ახალ-სენაკში ნაშუადღევს პირველ საათზედ. სტანციაზე მას დახვდა დიდი გროვა ხალხისა და მოხელეები. თავადი გამოვიდა ვაგონიდამ და სალამი მისცა ხალხს. ჩამოიარა პლატ ფორმაზე, მიიღო თხოვნები, ზოგიერთებს გამოელაპარაკა და ამ-ს შემდეგ მიეშურა ქალაქისკენ; შესავალში მას დახვდა მოქალაქეების დეპუტაცია პურით და მარილით.

აქედგან წაბრძანდა ფაიტონით ნორმალური სკოლის ეზოში, სადაც იყო გამართული სასადილო სტოლი. დიდი ხალხის გროვამ სულ „ურას“ ძახილით გააყოლა ის ეზომდის. აქ კი ტრიუმფის არკის იქით, თვით ეზოში თავადს დახვდა ორ წყებად ჩარაზმული თავად-აზნაურობა თავის წინამძღოლით. ეზოში შესვლისათანავე წინ წამოდგა 90 წლის ბახვა ფალავა, მიესალმა მთავარ-მმართებელს და უთხრა სიტყვა ქართულად, რომელშიაც გამოიხატებოდა სიხარული იმის ჩვენს ქვეყანაში დანიშვნაზე, იმის აქ ჩამობრძანებაზედ და იმედი, რომ ის ეცდება ამ ქვეყნის გაბედნიერებას. ამაზე თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა შემდეგი პასუხი მისცა:

„—მე სულით და გულით პატივს ვსცემ მთელი საქართველოის თავად-აზნაურებას და კერძოდ თქვენსას. ყოველ ღონის-ძიებას ვიხმარ, რაც კი შეიძლება ჩემის მხრით, წინ წავიყვანო და კეთილი მოუვლინო, ჩემ საყვარელ კავკასიას, და მაშასადამე თქვენც. ამაში მე თქვენ დაგარწმუნებთ თავის დროზედ საქმით და არა მარტო სიტყვით.“

ამის შემდეგ მოისმინა ზოგიერთი იმ სათხოვართაგანი. რომელნიც ჩვენ მოვიხსენიეთ ზევით. სხვათა შორის პირველს სათხოარზე, ესე იგი, თავად-აზნაურების ღირსების დამტკიცებაზე და გარკვევაზე, აი რა უპასუხა წინამძღოლს:

„—ძრიელ ვსწუხვარ, რომ ეს საქმე ასე დარჩენილა ამდენხანს; დაწვრილებით გავიგე ამ ამბავის ასავალ-დასავალი, ისიც ქ... ...ზების გამო მოიშალა... ...მელიც იხილავდა თქვენი თავად-აზნაურობის ღირსებას, მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ. მე თქვენ აღგითქვამთ შემდეგს: ამ მოკლე დროში მე წარვადგენ პეტერბურღში დასამტკიცებლად იმ თავად-აზნაურთა სიას, რომელნიც უკვე განხილულნი არიან; რაიცა შეეხება დარჩენილებს, იმათთავის მე გავხსნი დეპუტატთ შეკრებილებას, სადაც თქვენ გნებავთ: გინდ ახალ-სენაკში, გინდ ზუგდიდში, ერთი სიტყვით, სადაც თქვენ უფრო გეახლოვებათ.

მეორე სათხოვარზე (პროგიმნაზიის გახსნაზე) თ. დონდუკოვმა ბრძანა, რომ ის ამ საქმეს უფრო გულ დასმით და დაკვირვებით განიხილავს ტფილისში, ასე უცბად პასუხის მიცემა შეუძლებელიაო.

ამის შემდეგ მთავარ-მმართებელი მიიწვიეს სუფრაზე, რომელიც იყო გამართული თავად-აზნაურობის ხარჯით. ამბობენ, სულ სამი ათასი მანეთი შეგროვილაო თავად-აზნაურობისაგან ამ სადილისთვის. მაგრამ რად გინდა? ერთი იმისთანა ოინი მოიგონა ჩვენმა განთქმულმა პოლიციამ, რომელიც იყო სადილის მოთავეთ, რომ სამი ათას მანეთად კი არა სამ მანეთად არ ღირდა მთელი სადილი! წარმოიდგინეთ ბ. მაზრის უფროსის რჩევით ერთი საზოგადო სუფრა კი არ გაშალეს, როგორც მთავარ-მმართებლისათვის, ისე თავად-აზნაურობისთვის „არაო, იფიქრა ჩვენმა პოლიციამ, მართალია, ერთიანი სუფრა უფრო სასიამოვნოა, როგორც მთავარ-მმართებლისთვის, ისე თავად-აზნაურობისთვის, მაგრამ რომ ღმერთი გასწყრეს და გამოჩნდეს თავად-აზნაურებში იმისთანა ორატორები, რომ და...

---

...მნათს ზემო ამყოლის გვერდზედ ...ეს აწერია:

„დიდისა შაბათისა ალაპი მამანტისა ...შემსიან აგლისთსა ვინ შეცვალოს ...რული ღთის პირითა“.

...გარდა ამისა ერთი წარწერა იყო ...მხრის კარის დასავლის ამყოლზედა ...და თავი მეტად წახოცილ იყო და არ ...ვსწერე.

ეს წარწერანი ეკუთვნის ლეონ მეფეს აღგებულ ეკკლესიასა იოანე ...ეპისკოპოსის გამგეობითა. სჩანს ამ ...დიდ ეკკლესიის შენებაზედ დიდი მონაწილეობა უნდა ჰქონოდა მაჩე ერისთავსა. საძირკველი თუ ლეონ მეფის ...დროსით დაწყებულა, სისრულეში ...მოყვანა და მომეტებული წარსაგები ...მისი უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს ალვსების დღე (აღდგომა) რომ ...არს ალაპად განუწესებიათ. აგრეთვე ...მთავარი ერისთავი ზვიადიცა შესანიშნავი პირია იმ დროისა. ვგონებ ...ეს ის ზვიადი უნდა იყოს, რომელიც მოხსენებულია ჩვენს „ქართლის ცხოვრებაში“: რა გარდაიცვალა ბაგრატ ...მეფე III თაოსკარსა, წარმოიღო გვამი მისი ერისთავთ-ერისთავმან ზვიადმან და დამარხა ბედიას სლდ. 213 გ.

ლეონ აფხაზთა მეფის ცხოვრება ჩვენ გარკვევით არა გვაქვს; გარნა რაც გვაქვს სულ მცირედი, ისიც ბრწყინვალე ასოებით არის აღწერილი. ლეონ მეფე იყო ძე გიორგი მეფისა, რომელსაც ხშირი ომ-ბრძოლა ჰქონდა კახეთისა და მისი მიდამოებისათვის კვირიკე ქორიკოსთან. აი რასა ვკითხულობთ:

„კვალად გაგზავნა ლაშკარი თვისი გიორგი მეფემან და ძე თვისი ლეონ უჩინა წინამძღვრად. მოვიდა და მოსწვა კახეთი და მასვე ლაშკრობასა შინა მოართვეს ამბავი მიცვალებისა დიდისა და ღვთის მოყვარისა გიორგი მეფისა. მაშინ მოუწოდა ლეონ კვირიკე ქორეპისკოპოსსა (ქორიკოზსა უნდა იყოს), რომ მეფის მონაცვლის წოდებასავით იყო, და შეკრბეს ბაზალეთის ტბის პირსა თვითო ცხენოსნითა და იუბნეს დღე ერთი ვიდრემდის განუცხადა მიცვალება მამისა თვისისა და აკიდა სიყვარული და უქადა ძისა მისისა სიძობა და ვითარცა ესმა ესე კვირიკეს, გარდახდა ცხენისაგან თაყვანისცემით მოიკითხა და მისცა მადლი... შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თვისსა, რამეთუ მაშინვე შთავიდა აფხაზეთად.“

„და განადიდა ღმერთმან მეფობაი მისი მსგავსად მამისა მისისა, რამეთუ იყო იგიცა ღვთის მოყვარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკკლესია მოქვისა და შეჰქმნა საეპისკოპოსო საყდრად აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა და ვითარ ეუფლა მამულსა თვისსა აღასრულა აღთქმა თვისი და მისცა ასული თვისი კვირიკე ქორიკოსის ძესა. შემდგომად მცირედისა მოკვდა-რა ასული ლეონისა, კვალად იწყო მტერობად კვირიკე ქორიკოზისა და ძებნა კახეთისა. შეილაშკრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგვის პირსა, ასწყვიტა მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი, მასვე ლაშკრობასა შინა დასნეულდა, შეიქცა გარე და მოკვდა.“ (203. გვ. „ქართ.-ცხოვრ.“)

ამ დიდს ეკკლესიას მოკიდული აქვს რამდენიმე კამარედებით სრა თუ სტოვა, 60-ოდე ფეხის სიგრძით, და ამის განეზზედა ღიდრონის ასოებით აწერია:

„... მარიამ დედოფალი აღეშენა შვეტი ესე მეფობასა მათსა მღვდელთ-მოძღვარებასა ზოსიმე კუმურდელისასა“.

ამ სვეტის დასავლეთის კარის ქუდის ქვაზედ ჯვარი გამოსახულია შუა და ჯვრის აქეთ დაღმა ნაწერია:

„... ნგლედს მიქაილს შეუნდოს“.

იქით ჯვრის დაღმა აწერია:

„ზოსიმე კუმურდოელსა შეუნდოს ღმერთმან“.

ჯვრის შუა აწერია:

„... კედელი მეორედ აღმშენებელი ქრისტინა მეცხედრე მათი“.

ჯვრის ზემოდ:

„... ჰყავ ორთავე: შორის პატრონი ელისბალ და... მარიხ ძენი მათნი და ასულნი მათნი“.

ეს ქუდიც მომტვრეულია, როგორც გარნეზის წარწერაცა. ახლა ეს კამარედები დიდ ეკკლესიის გარედ ადვილებრივ სომხებს ეკკლესიად აქვანან; მხოლოდ შუა ნაწილი და აქეთ-იქით ოთახებია, სჩანს საეკკლესიო ავეჯი თუ უწყვიათ.

(დასასრული შემდეგში)

გვასმინოს, მაშინ?.. მაშინ ხომ დავი-ღუპენით! არა, ორი სუფრა სჯობია, ერთი პატარა სუფრა თავად დონდუკოვ-კორსაკოვისთვის და მისი მხლებელებისთვის, და მეორე სუფრა თავად-აზნაურობისთვის, მაგრამ რაც შეიძლება მოშორებით, რომ რაც უნდა იყვიროს რომელიმე აზნაურმა—ორატორმა, თავადმა ვერაფერი გაიგონოს“.

მართლაც ესე მოხდა: მთელი აზნაურობა ღობის კიდეში ეყარა; ეს ბევრმა იწყინა: „ჩვენ საჭმელად კი არ მოვსულვართ აქაო“ და მიატოვეს სუფრა. დიდი მოწყენაც აყო.

ერთი აზნაურთაგანი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ სააათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეკოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეკოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პაღნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—98)

## მიცვალებულის შენახვა

(ბალზამით გაკეთება)

ახლად მოგონილის სისტემით, გვამის გაუჭრელად, სისხლის მილებში წამლის შეშვებით. ისეთ ნაირად შეინახება მიცვალებულის გვამი, რომ რამდენიმე კვირისა და თვის განმავალობაშიაც არ გაფუჭდება.

ფასი 40 მანეთიდამ 120 მანეთამდე.

ბალზამის საშუალების გარდა, ყინულითაც გაკეთებ მიცვალებულის გვამს.

ფასი 15 მან. 25 მანეთამდინ.

**ადრესი:** პაროხის მოიჯარადრე კადურინი, ვორონცოვის წყლის-ნაპირა ქუჩაზედ. (3—1)

## მოსამზადებელი სკოლა

### ე. თ. დოლგოვო-საბუროვისა

ამ ჟამად გადატანილ არის კონსულის ქუჩაზე, ელინკოს სახლებში, № 14. სწავლა და მიღება ყმაწვილების ორივე სქესისა გრძელდება. სრული პანსიონერები იხდიან თვეში 40 მან., არა-სრული 25 მან.; გარედამ მომსვლელი ყმაწვილები 8 საათ.—1 საათ.—6 მან., ნასადილევს სწავლებით კი 10 მან. (4—2)

**გ. ნიკოლოზის-ძე იოსელიანი იღებს თვისს პანსიონში ყმაწვილებს პიროვნებით მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. ადრესი: მიხაილოვის ქუჩა № 81.** (5—4)

**ვაძლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად**

## „ლივადია“

**გოლოვინის პროსპექტზედ.** (20—13)

## მაღაზია

### სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—5)

ბოლგარულ-ინგლისური **გუთანი გონვარდისა** მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ **თ. ა. პეპინოვისაგან,** რომელიც არის აგენტი ბ. გოვარდისა.

კანტორა პეპინოვისა არის ტფილისის ქალაქში, არწრუნის სახლში, დვორცოვის ქუჩაში. (6—6)

ახალი ქართული

## ქარაგადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

დაიბეჭდა და ისყიდება

## ქუჩუკ ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

## ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 ივლისიდამ 1 აგვისტომდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 10 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

## სამშობლო!

**ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.**

ფასი 60 კაპ. (20—9)

## ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Іюля 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი